ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 აპრილი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 73 (10 241) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა





# სამბო პოზიციებს იბრუნებს

ათიოდე წელია (თუ მეტი არა) საქართველოს სამბისტებს ასეთი წარმატება არა ჰქონიათ. ამ დღეებში ფრუნზეში ჩატარებულ საკავშირო პირად პირველობაში (მონაწილეობდნენ 1970-1973 წლებში დაბადებულნი) საქართველოს მოჭიდავეებმა ორი პირველი, ორი მეორე და ერთი მესამე ადგილი დაიკავეს. ტურნირზე საქართველოდან რვა სამბისტი იყო დაშვებული, მაგრამ მწვრთნელებმა დამატებით კიდევ რვა მონაწილე წაიყვანეს, ისე რომ, ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკიდან სულ თექვსმეტი ათლეტი გამოდიოდა.

უმაღლესი ტიტული — ჩემპიონის სახელი ფოთის დინამოელმა მურთაზ თურქიამ (მწვრთნელები ზურაბ ტუღუში და ზურაბ ძაძამია) და ზესტაფონელმა, „მართვეს“ წარმომადგენელმა კობა გურეშიძემ (მწვრთნელები ჯონი ჯანიაშვილი და ვახტანგ კბილაშვილი) მოიპოვეს. სწორედ მათ გამოსვლაზე უნდა შევჩერდეთ.

მურთაზ თურქია, როგორც ცნობილია, იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორია 57 კგ-ში, მაგრამ ამჯერად იგი უფრო მაღალ წონაში (62 კგ) გამოდიოდა. ალბათ, ეს იყო იმის მიზეზი, რომ მურთაზმა ტურნირი მარცხით დაიწყო. პირველსავე წრეში თანაბარი ბრძოლა წააგო დნეპროპეტროვსკელ ა. კონარიოვთან. ახალ წონით კატეგორიაში ჭიდაობა მუდამ პრობლემებთან არის დაკავშირებული, მაგრამ როგორც შეჯიბრების შემდგომმა მსვლელობამ ცხადყო კონარიოვი მართლაც ღირსეული მეტოქე ყოფილა. თურქიასთან შეხვედრის შემდეგ მან ყველა ორთაბრძოლა მოიგო და ფინალში ჭიდაობის უფლება მოიპოვა.

მურთაზი კი... მარცხის შემდეგ ისიც გააფთრებით იბრძოდა, ზედიზედ ხუთი გამარჯვება მოიპოვა ა. აზიზოვთან, დ. ყოგლიჩევთან (ორივე — მოსკოვი), ლ. ტარკაჩოვთან (რსფსრ), დ. ხაბიხუზინთან (ტაშკენტი) და დ. კაგუჩევთან (რსფსრ). ამ შეხვედრებიდან საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ტარკაჩოვთან გამარჯვება, ვინაიდან ბრძოლას ქართველი სამბისტი თავდაპირველად აგებდა ანგარიშით 2:5.

მურთაზი ფინალში გავიდა და ისევ კონარიოვს შეხვდა. მაგრამ ამჯერად მას უკვე გავლილი ჰქონდა „აკლიმატიზაცია“ ახალ წონაში და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, რამაც მას ოქროს მედალი მოუტანა.

კობა გურეშიძე მძიმე წონაში ასპარეზობდა. მან ოთხი ბრძოლა წმინდად მოიგო, ორი საკმაოდ დიდი უპირატესობით (ქულათა შეფარდებით — 11:0) და ჩემპიონის სახელი მოიპოვა ყველაზე პრესტიჟულ წონაში. გურეშიძემ წმინდად დაამარცხა კიროვოგრადელი ვ. ვასი-

იხ. გვ. 2 გვ.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მურთაზ თურქია (მარცხნივ), კობა გურეშიძე.
ა. კოტორაშვილის ფოტოები.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

ბაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის შეხვედრები უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის.

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:1
„გორდა“ (რუსთავი) — „ივერია“ (ხაშური) 2:0
„დილა“ (გორი) — „მზიური“ (გალი) 5:1
„იბერია“ (თბილისი) — „ლიახვი“ (ცხინვალი) 4:1
„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ბათუმი“ (ბათუმი) 0:1
„ოდიში“ (ზუგდიდი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 0:1
„შევარდენი“ (თბილისი) — „სანავარდო“ (სამტრედია) 2:8
„კოლხეთი“ (ხობი) — „ოზურგეთი“ (ოზურგეთი) 1:1
„ცხუმი“ (სოხუმი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 1:2

## დადგინდა,

რომ თბილისის „შევარდენის“ და ფოთის „კოლხეთის“ გუნდების ოფიციალური სახელები ამიერიდან იქნება: „შევარდენი-1906“ და „კოლხეთი-1913“.

საარქივო დოკუმენტების მიხედვით, ეს კლუბები 1906 და 1913 წწ. შეიქმნა და ევროპის უძველესი გუნდების რიცხვში იმყოფებიან. ფიფა-ში და უეფა-ში გაწევრიანების დროს, ეს ფაქტი არც თუ უმნიშვნელო არგუმენტი იქნება ჩვენი ფეხბურთის აღიარებისათვის.

**დავით კვინიკაძე,**
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი.

## საინტერესო ტურნირი

გორის საჭიდაო დარბაზში მოეწყო რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალი ქართულ ჭიდაობაში, რომელსაც წინ უსწრებდა საგარეჯოსა და ტყიბულში ჩატარებული ზონალური შეჯიბრებები. ფინალში დაშვებულნი იყვნენ ზონებში პირველ-მვიდ ადგილებზე გასული ფალავნები თბილისიდან, გორიდან, გორის რაიონიდან, ახმეტიდან, ადიგენიდან, აფხაზეთიდან, გურჯაანიდან, ქუთაისიდან, კასპიდან, რუსთავიდან, ჩხოროწყუდან, ცაგერიდან, სიღნაღიდან და თერჯოლიდან.

კარგად მომზადებული მოჭიდავეები წარმოადგინა გორმა, კასპის, რუსთავისა და საგარეჯოს რაიონებმა. მისასალმებელია, რომ მონაწილეთა გამოყვანა შეძლეს ადიგენმა და ცაგერმა (მწვრთნელები თ. მიქელაძე და ზ. ჯამბულიძე). გამოვლინდნენ პერსპექტიული, კარგი მონაცემების მქონე მოჭიდავეები. შეჯიბრებამ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: ნ. კოშმატიშვილმა (რუსთავი), ტ. ავაზნელმა, ჯ. მასურაშვილმა, გ. ავაზნელმა, ე. აზალაძემ (ყველა — გორი), გ. ბინტურმა (თბილისი), გ. ჯალაბაძემ (გორი), რ. სუხაშვილმა (კასპი) და გ. ნოზაძემ (რუსთავი).

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ქალთა შორის ჭადრაკში

# არც ერთი ყაიმი!

**მეექვსე ტური:** იოსელიანი-მელაშვილი 1:0, ხუგაშვილი-ნიკოლაძე 1:0, გაფრინდაშვილი-სადუნიშვილი 1:0, ხურცილავა-კახიანი 0:1, ლანჩავა-კობაიძე 0:1, ქასოშვილი — ალექსანდრია 0:1, გურიელი-არახამია 0:1.

ტურის შესახებ გვესაუბრება საერთაშორისო ოსტატი **ალა ჩაიკოვსკაია:**

— უნდა გითხრათ, რომ საქართველოს ახლანდელი პირველობის ყველა მონაწილეს შევხვედრივარ! დაფასთან, ზოგს — საკმაოდ ხშირადაც, ალექსანდრიასთან კი მატჩიც მაქვს ნათამაშევი. ახლა პირველად მიხდება მაყურებლის როლში გამოსვლა და უნდა გითხრათ, ესეც საკმაოდ საინტერესოა! ავიღოთ თუნდაც დღევანდელი ტური — არც ერთი ყაიმი არ აღნიშნულა! ეს, ერთი მხრივ ექვსსაათიანი კონტროლის „დამსახურებაცაა“, ახლა ხომ პარტიების მინიმალური რაოდენობა დაუმთავრებელი რჩება.

ჯერჯერობით შეიძლება სამი მონაწილის გამოყოფა: მინდა დავასახელო გაფრინდაშვილი, არახამია და კახიანი. ისინი პარტიას პარტიაზე იგებენ.

გაფრინდაშვილმა თეთრებით სადუნიშვილთან ლაზიერის გამბიტში ადრე მიღებული ცენტრალური პაიკების გაცვლას მიმართა. მას „კარლსბადის ვარიანტს“ უწოდებდნენ. თუმცა, ეს სისტემა ახლაც ძალიან პოპულარულია — შავებისთვის საკმაოდ ძნელია კონტრთამაშის ორგანიზება. ეს ვერც სადუნიშვილმა შეძლო, თუმცა, როგორც ცნობილია, იგი კარგი პოზიციური ალღოს მქონე მოჭადრაკეა, ბრძოლის პროცესში ნებისმიერ ნიუანსებს გრძნობს. გაფრინდაშვილმა თანდათან მოამზადა და განახორციელა შეტევა მეფის ფრთაზე, სადაც შავების პოზიცია, წინასწარი მანევრების შედეგად, დასუსტებული იყო. ეს მსოფლიოს ექსჩემპიონის უკვე მეოთხე გამარჯვებაა ამ ტურნირში.

რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორი უაღრესად უკომპრომისო დიდოსტატის გურიელისა და არახამიას შეხვედრას. მიაქციეთ ყურადღება — არახამიას! ჯერჯერობით იგი ერთადერთი მოჭადრაკეა, რომელსაც ნახევარი ქულაც კი არ დაუკარგავს! ის, რომ ახალგაზრდა მოჭადრაკე ყველა პარტიაში ძლიერ ცაიტნოტში იმყოფება, ჩვეულებრივი მოვლენა გახდა და, ჩემი აზრით, იგი არახამიას მეტისმეტად სერიოზული დამოკიდებულებით არის გამოწვეული თითოეული შეხვედრისადმი, თითოეული მეტოქისადმი. ამჯერად გურიელთან ლიდერმა ცენტრში სახიფათო გამსვლელი პაიკი მიიღო, რომელიც დაძრა კიდეც წინ. გურიელი, მეტად ენერგიული მოჭადრაკე, ამ დღეს როგორღაც უფერულად თამაშობდა, არ იგრძნობოდა მისი დიდი ძალა. მას ფიგურის დათმობაც კი მოუხდა, რის შემდეგ მალე დანებდა. გურიელის უფერული თამაში ამ დღეს სულაც არ ამცირებს არახამიას მორიგი მიღწევის მნიშვნელობას.

ხურცილავა-კახიანის პარტიაში მდგომარეობა გამარტივდა. თამაში გადავიდა ენდშპილში, სადაც შავებს მცირე უპირატესობა ჰქონდათ. აქედან მოგებამდე ძალიან შორი გზა იყო. ხურცილავა, რომელიც აქტიური სტილის მოჭადრაკეა, შედარებით „უხერხულად“ გრძნობს თავს ენდშპილში. ეს შემდგომ თამაშში შეიმჩნეოდა კიდეც. კახიანი ეტლით შეიჭრა მეტოქის ბანაკში და პირველ ჰორიზონტალზე მოიმწყვდია თეთრების მეფე. შემდეგ შეძლო პაიკის მოგება და კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა. შეგახსენებთ — ამ შეჯიბრებაში დაწესებულია ორიგინალური ჯილდო: თუ ოსტატი საბოლოო ანგარიშით დიდოსტატს გაასწრებს, ჯილდოდ 1000 მანეთს მიიღებს! ისე რომ, არ არის გამორიცხული, ამ შეჯიბრებაში კახიანმა რამდენიმე დიდოსტატს გაუსწროს და, შესაბამისად, რამდენიმე ათასი მანეთი მიიღოს!

თანდათან უკეთ თამაშობს შეჯიბრების ერთ-ერთი ფავორიტი იოსელიანი. პირველ პარტიებში ნანა როგორღაც შებორკილი იყო, ეტყობოდა რაღაც სიმძიმე, მერყეობა გადაწყვეტილებების მიღებისას... ახლა იოსელიანი ჩვეული ძალით იწყებს თამაშს და, ვფიქრობ, მალე მიუახლოვდება ლიდერებს. მდგომარეობის გამოსწორების დრო ჯერ კიდევ არის.

ალექსანდრიამ კარგად წარმართა პარტია ქასოშვილთან, დიდი მატერიალური უპირატესობა მოიპოვა და პარტია მოიგო. ალექსანდრიამ სტარტზე ორი დამარცხება განიცადა, მაგრამ, ვიმედოვნებ, იოსელიანისა არ იყოს, თანდათან გაუმჯობესებს თამაშს. დარწმუნებული ვარ, ნანა მალე ჩაებმება ლიდერებთან „კამათში“.

ხუგაშვილმა კარგად გამოიყენა ნიკოლაძის მრავალი შეცდომა და გაიმარჯვა. ლანჩავას გარკვეულ მომენტამდე უპირატესობა ჰქონდა კობაიძესთან, მაგრამ შემდეგ შეცდა. კობაიძემ მოიგო ხარისხი და ამავე დროს, შეაჩერა მეტოქის ცენტრალური გამსვლელი პაიკები. თამაში გამარტივდა — კობაიძეს ეტლი და სამი პაიკი დარჩა, ლანჩავას — კუ და სამი პაიკი. შავებმა კარგად გამოიყენეს ეს უპირატესობა და გათამაშების ცხრილში პირველი ქულა ჩაიწერეს.

ადრე, მეხუთე ტურის გადადებულ პარტიაში გაფრინდაშვილი და გურიელი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ბრძოლა, ფაქტიურად, ახლა იწყება.

მონაწილეთა მდგომარეობა: არახამია — 5 ქულა (1 გადადებული), გაფრინდაშვილი — 5, კახიანი — 4 (1), გურიელი — 3 (1 გამოტოვებული პარტია), ხუგაშვილი, ლანჩავა — 3-3, იოსელიანი — 2,5 (1 გადადებული და 1 გამოტოვებული პარტია), ალექსანდრია და ქასოშვილი — 2,5 (1-1), მელაშვილი — 2 (1), სადუნიშვილი — 1,5 (1), კობაიძე, ნიკოლაძე, ხურცილავა — თითო ქულა.

გთავაზობთ ორ პარტიას განვლილი ტურებიდან.

**კახიანი — კობაიძე**

**კატალონური დასაწყისი**

1. d4 მf6 2. c4 e6 3. g3 d5 4. მf3 c6 5. კg2 კe7 6. 0-0 0-0 7. მbd2 მbd7 8. ლc2 b6 9. e4 de 10. მ:e4 მ:e4 11. ლ:e4 კb7 12. ეd1 ეc8 13. b3 კf6 14. კb2 ლc7 15. ეd2 c5 16. ლe2 cd 17. კ:d4 ეfd8 18. ეad1 h6 19. h4 კ:d4 20. მ:d4 კ:g2 21. მფ:g2 მf6 22. მb5 ე:d2 23. ე:d2 ლe7 24. ლf3 h5 25. მფg1 g6 26. მ:a7 ლ:a7 27. ლ:f6 ლb7 28. ეd6 b5 29. c5 b4 30 c6. შავები დანებდნენ.

**არახამია — მელაშვილი**

**კარო-კანის დაცვა**

1. e4 c6 2. d4 d5 3. მc3 de 4. მ:e4 მd7 5. მg5 მgf6 6. კd3 e6 7. ლe2 კd6 8. კd2 ლc7 9. 0-0-0 მb6 10. მ1f3 h6 11. მe4 მ:e4 12. ლ:e4 მd5 13. მe5 მf6 14. ლe2 კd7 15. ეhe1 ლb6 16. მფb1 0-0 17. კ:h6 gh 18. მ:d7 მ:d7 19. ლg4+ მფh8 20. ლh5 მფg7 21. ე:e6 მf6 22. ე:f6 მფ:f6 23. ლf5 მფe7 24. ეe1+ მფd8 25. ლf6+ მფc7 26. ეe7+. შავები დანებდნენ.

# სარაგბო „ბასტილიის“ აღებაც შეიძლება...

**თბილისი. ვაკის სტადიონი. 16 აპრილი.**

**საქართველო „ბ“ (მეორე ნაკრები) — პარიზის მეორე უნივერსიტეტი (საფრანგეთი) 12:7 (6:7).**

ფრანგი მორაგბეების ერთკვირიანი ტურნეს ბოლო მატჩში მეტოქეებს სხვადასხვა მიზანი ჰქონდათ. სტუმრებს სურდათ, შინ დაუმარცხებელი წასულიყვნენ, ხოლო მასპინძლებს რევანშის აღებისა და ქართული რაგბის ღირსების დაცვის სურვილი ამოძრავებდათ. „ქუთაისურ ნაკრებთან“ და თბილისელ სტუდენტებთან შედარებით ჩვენს მეორე გუნდს უპირატესობა ჰქონდა: მწვრთნელებმა — გივი ავლასტიმოვმა და გაიოზ მონიავამ მეტოქის ტაქტიკის გათვალისწინებით უკეთ მოამზადეს ნაკრები. ფრანგებმაც ალღო აუღეს ქართველების თამაშის სტილს. ამიტომ იყო, შეხვედრა დაუზვერავად, ორმხრივი იერიშებით რომ დაიწყო. შერკინებებსა და მოლებში ბურთი არ ყოვნდებოდა, თამაში დინამიურად მიმდინარეობდა და მატჩის ეს მონაკვეთი მეტად საინტერესო იყო.

სტუმრების ერთ-ერთი შეტევის დროს მათმა შერკინების ნახევარმცველმა ემან-ლორანმა დროულად შენიშნა ჩვენების დაცვის ხაზში წარმოქმნილი „ღრეჩო“ და მოლიდან მიღებული ბურთის ლელოში შეტანით გახსნა ანგარიში — 0:4.

ფრანგების სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. ხუთ წუთში მათი მცველის მიერ ფეხით მოგერიებული ბურთი ხელთ იგდო გეგეჭკორმა, მისი წამოწყებული იერიში ბესელიამ გააგრძელა, ჯანელი-

იხ. გვ. 4 გვ.



ს უ რ ა თ ზ ე: ეპიზოდი განვლილი მატჩიდან. „ფრანგული პრობლემის“ გადაჭრის ერთი ვარიანტი — შავლეგ ჯანელიძემ (№9) და ვახტანგ კაპანაძემ მეტოქეს შერკინება „გაუცუდეს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უძლიერესის გასაჭირი

**რაგბის** გულშემატკივრებს უთუოდ ეხსომებათ, წლის დამდეგს თუ რა ამბით ვამცნეთ პირველი ქართული საყმაწვილო სარაგბო კლუბის — ვაზისუბნის „ივერიის" დაარსება. თან იმედს გამოვთქვამდით, რომ კლუბის გამგეობა, თავისი ფრიად სახელმოხვეჭილი და გავლენიანი შემადგენლობით, ძალას არ დაიშურებდა, რომ „ივერიის" მოზარდ მორაგბეთა ისედაც შთამბეჭდავ გამარჯვებათა გამრავლებისათვის შეეწყო ხელი.

მაგრამ, ვაი, რომ „ლელოს" წინასწარმეტყველება მხოლოდ სანახევროდ ახდა. სანახევროდ იმიტომ, რომ „ივერიამ", მართლაც, მეტისმეტად დამაჯერებლად გაიმარჯვა მარტის დამლევს ვარკეთილის სარბიელზე გამართულ 16-17 წლის ჭაბუკთა პირველობაში, რომელმაც სულ ექვს გუნდს მოუყარა თავი. ვაზისუბნელმა ბიჭებმა — ზ. არჩვაძემ, ბ. დრიაშვილმა, ლ. რევაზიშვილმა, დ. გიგინეიშვილმა, ა. მაჭუტაძემ, რ. მგალობლიშვილმა, ა. ხელთუფლიშვილმა, დ. ტოგონიძემ, ა. ბროძელმა, ა. კვარაცხელიამ, მ. ნამგალაძემ, კ. სექანიამ, კ. ალანიამ, გ. ნონიკაშვილმა, ე. ქადაგიშვილმა, მ. ჩაჩუამ, ა. ბრაგვაძემ, თ. ქომეთიანმა, ლ. ძიმისტარაშვილმა, გ. მარტყოფლიშვილმა, ზ. ნოზაძემ და დ. ჩიტაიამ ასაკის კვალობაზე ერთობ დინჯი, „ბრძნული" თამაშით, ბრწყინვალე მზადყოფნითა და მებრძოლი სულისკვეთებით დაგვამახსოვრეს თავი და ხუთივე მეტოქეს მოუგეს: წყალტუბოელებს — 26:16, ლანჩხუთელებს — 82:6, თბილისის „სოლანს" — 42:6, ქუთაისელებს — 40:6, ლენტეხელებს — 59:3.

ერთი სიტყვით, „ივერიის" სახით ქართულ რაგბში დღეს გვყავს ჭაბუკთა გუნდი, რომლის მიზანი ქართველ ვაჟკაცთა აღზრდა და მშობლიური კლუბის სახელით ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობაა.

ახლა, აუხდენელი წინასწარმეტყველების, ანუ კლუბის გასაჭირის შესახებ. „ივერიის" ერთობ გავლენიანი გამგეობა ზემოთ შემთხვევით როდი გვიხსენებია. არჩევისთანავე საფიქრებელი იყო, რომ ასეთ გამგეობას შეძლებულ, გულუხვ მეურვეთა მოზიდვა არ გაუჭირდებოდა. თანაც, მაშინ ხომ დაპირებებიც არავის დაუშურებია!

არადა, ფაქტი ჯიუტია. დღეს „ივერია" გამოუვალ ფინანსურ მდგომარეობაშია. ვთქვათ და თვალი დავხუჭეთ იმაზე, რომ 300 მოზარდთან სანიმუშოდ მომუშავე ახალგაზრდა და მცოდნე მწვრთნელებს ისედაც მოკრძალებულ ხელფასს უგვიანებენ ან სულაც არ უხდიან. მაგრამ სად გავექცეთ იმ ამბავს, რომ გუნდის მიერ საგარეჯოში გამართული საწვრთნელი შეკრების მთელი ხარჯი, რამდენიმე ათასი მანეთი, საბოლოოდ ისევ და ისევ მწვრთნელთა ახლობელ-ნათესავებმა გაიღეს?

ან კიდევ, რა მოუხერხონ მწვრთნელებმა იმ ვალებს, კუს ტბის გამაჯანსაღებელი კომპლექსისა და დიდუბის მძლეოსნობის მანეჟისა რომ მართებთ? ისიც თავიანთი ჯიბიდან გადაიხადონ?

ამდენი ვალის ჩამოთვლაში, ლამის, საერთოდ დაგვავიწყდა, რომ ერთი საწვრთნელი, თუნდაც არასტანდარტული მოედანი რაა, საქართველოს უძლიერეს ჭაბუკთა გუნდს ისიც არა აქვს, და სადაც მოიხელთებს, იქ ვარჯიშობს ხოლმე, მეტწილად — უნებართვოდ და მალვით. ამის მიუხედავად, გუნდი საქართველოში მაინც ყველას სჯობნის. ნაწილობრივ, იქნებ იმიტომაც, რომ სხვა გუნდები, უეჭველია, კიდევ უფრო უარეს დღეში არიან. თუმცა, ვინ იცის, ეგებ ვცდებოდეთ?!

ბოლოს, იმისა შესახებ, რომ ახლახან იმედის სხივიც გამოკრთა. „ივერიის" ბედით ბავშვთა რესპუბლიკური ფონდი დაინტერესდა. სხვებისგან განსხვავებით, იქნებ ეს „ღონიერი" ორგანიზაცია მაინც შეეწიოს მორაგბეებს არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც?!

**ზაალ ბიბინეიშვილი,**
„ივერიის" პრეს-მდივანი.

# ტატამზე — მოსწავლეები

**თელავში** დამთავრდა 1976-1978 წლებში დაბადებულ მოსწავლე ძიუდოისტთა რესპუბლიკური პირადი პირველობა, სულ ასპარეზობაში 230 მოსწავლე სპორტსმენი გამოდიოდა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ჯ. ერთგულაშვილი, მ. ასათაშვილი (ორივე — ახმეტა), ლ. ბეგოიძე (თბილისი), მ. მარგიანი (მარნეული), ზ. ბაბილაშვილი (ახმეტა), გ. ქარუმიძე (თბილისი), გ. ბიძინაშვილი (თელავი), ლ. ციგრიაშვილი (თბილისი), ა. ყიფიანი (თელავი) და ლ. გაგნიძე (თბილისი).

**მერაბ ბროძელი**

# კურნავს „მუსტანგი"

**არც ისე დიდი ხნის წინათ ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ ცხენი ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში ჩადგებოდა და შეებრძოლებოდა სქოლიოზს (მოზარდთა უპირველესი დაავადება), ნევროზს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს....**

**გვესაუბრება ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი დიმიტრი წვერავა. სხვათა შორის, იგი საკავშირო კატეგორიის მსაჯი და ცხენოსნობის რესპუბლიკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილეა.**

● **ბატონო დიმიტრი, ახლახან თქვენთან, პირველად საბჭოთა კავშირში, შეიქმნა კოოპერატივი „მუსტანგი", რომელიც რაიტთერაპიით მკურნალობას ისახავს მიზნად; რას წარმოადგენს რაიტთერაპია?**

— სამკურნალო პროფილაქტიკური კოოპერატივი „მუსტანგი" განათლების სამინისტროს საცხენოსნო-სასპორტო სკოლასთან შეიქმნა იპოდრომზე. რაიტთერაპიის (რაიტ-გერმანულად ჭენებას ნიშნავს), მეთოდის გამოყენება ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში დავიწყეთ. მართალია, თავდაპირველად განზე გაგვიდგნენ, მაგრამ შემდეგ ოფიციალურად გაფორმდა. ეს მეთოდი ევროპის ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებულია. იქ ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში დაიწყო მისი ალორძინება. ევროპაში სამი მიმდინარეობაა ცნობილი: პირველი — ეს არის ინვალიდების სპორტი, რაც მათ სოციალურ რეაბილიტაციას გულისხმობს, მეორე — გონებაჩლუნგი და ძნელადაღსაზრდელი ბავშვებისათვის (როგორც ამბობენ, საოცრად კარგი შედეგი აქვს), მესამეა ჩვეულებრივი რაიტთერაპია, ანუ ცხენით მკურნალობა.

● **როდის შეიძლება ამ მეთოდის გამოყენება?**

— რაიტთერაპია მიღებულია ქირურგიულ პრაქტიკაში, მძიმე ოპერაციების შემდგომ პერიოდში, ფართოდ იხმარება ნევროლოგიაში, ფსიქიატრიაში, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, საყრდენ-სამოძრავებელი აპარატის სისტემის დარღვევის, პროსტატიტების პროფილაქტიკის და მკურნალობის დროს. ისე არ გამიგოთ, თითქოს რაიტთერაპია პანაცეა იყოს. გააჩნია, დაავადება რომელ ფაზაშია. თავის მხრივ ზუსტად განსაზღვრული უნდა იყოს დოზირება. არ გეგონოთ, მკურნალობის ეს მეთოდი მხოლოდ ორმოცდაათიანი წლებიდან იღებდეს სათავეს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ესკულაპეს ჰქონდა ეს საქმე ბრწყინვალედ დაყენებული. ასეთი რეცეპტიც არსებობს: ნევროზების დროს ფეხშიშველა სიარული, ცივი შხაპი და ცხენზე ჯდომა... ასევე იყენებდა ამ მეთოდს ავიცენა. საერთოდ, ქრისტიანობამდე იგი ფართოდ იყო გავრცელებული.

რაიტთერაპიის გამოყენება საქართველოში პირველად გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებთან საბრძოლველად (ინფარქტის შემდგომ პერიოდში) დავიწყეთ. ამას



დიმიტრი წვერავა

მოჰყვა ნევროზებისა და ჰიპერტონიის მკურნალობა, შემდეგ კი სქოლიოზი.. სამწუხაროდ, ჩვენში სქოლიოზისა და ტანადობის დარღვევის დაწყებითი ფორმა თითქმის ოცდაათ პროცენტს აღწევს. ასეთი ადამიანები კლინიკურად ჯანმრთელნი, მაგრამ პოტენციურად ავადმყოფები არიან. მათი მკურნალობა სახელმწიფოებრივი, ეროვნული მნიშვნელობის საქმეა.

● **არის სქოლიოზის რაიტთერაპიით მკურნალობის პრინციპი, უფრო სწორად, რა ურთიერთკავშირშია სქოლიოზი და ცხენზე ჯდომა?**

— როგორც ცნობილია, სქოლიოზი განსაკუთრებით მწვავდება 11-15 წლის ასაკში. ანუ გარდატეხის პერიოდში. ცხენზე ჯდომის დროს ბავშვისა და ცხენის ცენტრი ერთმანეთს უნდა დაემთხვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი გადმოვარდება. ცხენზე ჯდომისას ბალანსის გამომუშავებით იქმნება საკმაოდ საიმედო კუნთური კორსეტი, რაც ტანადობის დარღვევისა და სქოლიოზის მკურნალობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. გარდა ამისა, ცხენზე ჯდომის დროს მაკორეგირებელი ვარჯიში უფრო ეფექტურია, ვიდრე სამკურნალო ფიზკულტურის დარბაზში ჩატარებული. ყველაფერ ამას ემატება დადებითი ემოციური ფონიც.

გარდა რაიტთერაპიისა, ასეთი დაავადებული ბავშვებისათვის კომპლექსური მკურნალობა გულისხმობს ტრადიციულ მეთოდებსაც. სამკურნალო ტანვარჯიში, მასაჟი, ორთოპედიული წოლა და სხვა. რაიტთერაპია გამოიყენება ისეთი რთული დაავადების დროსაც, როგორიც არის ბავშვთა ცერებრალური დამბლის ჰიპერკინეზური ფორმა. ამ მეთოდის მექანიზმის ახსნა ცნობილი ნევროპათოლოგის, პროფესორ ცოტნე ჩხიკვიშვილის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს: ამ დაავადების დროს საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ სწორი შეგუებისა და კომპენსაციის შესაძლებლობები, განსაკუთრებით კი ადრეულ ასაკში, როცა ხდება ქცევითი ჩვევების ძირითადი ფონდის ჩამოყალიბება (ჩაცმა, ჭამა, სიარული...). დაავადების დროს აუცილებელია ყველა ამ ძალის ამოქმედება.

საგულისხმოა, რომ დაავადებული ბავშვები და, გნებავთ, ნებისმიერი ავადმყოფი, არასრულფასოვნების კომპლექსით არიან შეპყრობილნი, ადამიანებთან ურთიერთობაში შეზღუდულები არიან. ცხენზე ჯდომისას ეს კომპლექსი მთლიანად მოხსნილია, რადგან ბავშვს ამ დროს საოცარი სიამაყის გრძნობა უჩნდება, რაც თავისთავად საკუთარი თავის რწმენას უნერგავს.

● **მომავალში რას აპირებს „მუსტანგი"?**

— ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიზანი ქველმოქმედებაა. აქვე იმასაც დავუმატებდი, რომ ჩვენთვის ფინანსებიც აუცილებელია. ბავშვთა ფონდი, ან რომელიმე საქველმოქმედო საზოგადოება იქნებ დაინტერესდეს ჩვენი მიზნებითა და საქმიანობით, დაგვეხმაროს, რათა, შეძლებისდაგვარად, ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს ჩვენთან მკურნალობა.

ამას წინათ ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოსული იყო თხუთმეტი ექიმი-სპეციალისტი, რომლებიც დიდი ინტერესით გაეცვნენ ჩვენს რესპუბლიკაში დანერგილი მკურნალობის ამ ახალ ფორმას.

**მინაწერი: თუ მოიცლით და მიხვალთ იპოდრომზე, იქ ბევრ ისეთ ადამიანს შეხვდებით, წინათ სერიოზულ ავადმყოფებად რომ ითვლებოდნენ, დღეს კი იმედიანი თვალით შეჰყურებენ მომავალს.**

ესაუბრა **მარინე მანჯავიძე.**

# სამბო პოზიციებს იბრუნებს

**(დასასრული)**

ლიევი, ფრუნზელი ი. გორიაკინი, ლენტეხელი რ. ლიპარტელიანი და კამჩატკელი დ. იზმალენოვი. დ. ციტკევიჩს (ვორონეჟი) და მ. ვასილიევს (სამარყანდი) კი 11-11 უპასუხო ქულა აართვა. ასე რომ, კობა გურეშიძე ღირსეული ჩემპიონი გახდა მძიმე წონაში.

ორიოდე სიტყვა სხვა პრიზიორებზეც. მევლუდ მელაძემ (52 კგ), მაგალითად, ექვსი შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა წააგო ერევნელ ვ. ვოსკანიანთან. თანაც უნდა აღინიშნოს, რომ ქულის აღება ვერც ერთმა მოჭიდავემ ვერ შეძლო და მხოლოდ მსაჯის გადაწყვეტილებით მიეკუთვნა გამარჯვება ერევნელ სამბისტს, მევლუდს კი (თბილისი, ასკ, მწვრთნელები ზაურ ბახტაძე და ოლეგ იაძე) ვერცხლის მედალი ერგო.

ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა თელაველი შალვა ბერიძეც (68 კგ, „შევარდენი", მწვრთნელები ფრიდონ ჩიტაშვილი და თამაზ ჯველაური). სხვათა შორის, ამ წონაში ასპარეზობდა 51 მოჭიდავე და ფინალში გასვლა თავისთავად დიდი ვაჟკაცობა იყო. ბუხარელი ჰ. მავლონოვი გადამწყვეტ ორთაბრძოლას თავდაპირველად აგებდა, მაგრამ შეხვედრის ბედი გადაწყდა ბოლო წუთზე. ბერიძეს ზუსტად იმდენი გაფრთხილება მისცეს, რამდენიც საჭირო იყო დამარცხებისთვის და გამარჯვებულად ბოლოს მავლონოვი გამოცხადდა.



მარცხნიდან: მევლუდ მელაძე, შალვა ბერიძე, არჩილ ბიძინაშვილი.
ა. კოტორაშვილის ფოტოები.

თბილისის დინამოელ არჩილ ბიძინაშვილს (მწვრთნელები ელიზბარ ბიგანიშვილი და ოლეგ იაძე) ბრინჯაოს ჯილდო ერგო. მან ხუთი შეხვედრა მოიგო და მეექვსე ფინალში გადასასვლელი მოსკოველ ე. პასადსკისთან დათმო. სხვათა შორის, ბიძინაშვილის მეტოქესაც უპირატესობა მსაჯთა გადაწყვეტილებით მისცეს.

მსაჯთა გადაწყვეტილებას, ან როგორც მოჭიდავეები ამბობენ, „ჰანტეის" ჰიდაობაში მიმართავენ მაშინ, როცა ბრძოლა ფრედ მთავრდება და მეტოქეთა ძალები თანაბარია. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული არბიტრის სუბიექტურ შეხედულებაზე, მის სიმპათიებზე. საინტერესოა, რომ საქართველოს მოჭიდავეებს დამარცხება თხუთმეტ შემთხვევაში სწორედ „ჰანტეით" მიესაჯა (მხოლოდ მსაჯის ერთი გადაწყვეტილება იყო ჩვენი სამბისტის სასარგებლოდ). ასეთი სტატისტიკა, ჩვენი აზრით, კომენტარს არ საჭიროებს.

სხვა ქართველ მოჭიდავეთაგან კიდევ ორი გვარის დასახელება შეგვიძლია. 74 კგ-ში, მაგალითად, ფავორიტად ითვლებოდა საგარეჯოელი ნუკრი გაგნიაშვილი, მან მართლაც კარგად იჭიდავა, ყველა ორთაბრძოლა წმინდად მოიგო, მაგრამ მოულოდნელად დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან და საპრიზო სამეულის მიღმა დარჩა.

ფინალში უნდა ეჭიდავა (62-კგ-ში) მეორე საგარეჯოელ მამუკა კურდღელაშვილსაც, რომელმაც ოთხი შეხვედრა წმინდად მოიგო და ერთი დასანანი მარცხი განიცადა, რომელიც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

ყველაფერ ზემოთქმულის მიუხედავად, ერთი რამ ცხადია: სამბო ნელ-ნელა იბრუნებს კარგა ხნის წინათ დაკარგულ პოზიციებს. ეს სხვათა შორის, რეგიონების მაგალითზეც შეინიშნება. არაფერი რომ ვთქვათ სამბოს უკვე აღიარებულ ცენტრებზე, შესამჩნევად მომაგრდნენ და დაწინაურდნენ ფოთის, სოხუმის, საგარეჯოსა და კიდევ რამდენიმე სხვა ქალაქის მოჭიდავეები. უნდა ვთქვათ ისიც, რომ ფრუნზეს ტურნირისთვის ჩვენს გუნდს ამზადებდა მწვრთნელთა მთელი ბრიგადა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის სპარტაკ ჯინორიძისა და ოლეგ იაძის ხელმძღვანელობით.

**ნ. ახვლედიანი.**

## ტელეტაიპი – მაუწყებელი

**დორტმუნდი.** სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ცხენოსნობაში, დასავლეთგერმანელ ნიკოლ უპჰოფს 1988 წლის შემდეგ შეჯიბრება არ წაუგია, აი, აქ მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშებაში კი მეორე ადგილი დაიკავა („დიდი პრიზი") თანამემამულის მონიკა ტეოდორესკუს შემდეგ.

**დიუსელდორფი.** ბალახის ჰოკეისტ ქალთა საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ბოლო მეოთხე ადგილი დაიკავა. უკანასკნელი შეხვედრა მან დიდი ბრიტანეთის გუნდთან წააგო — 0:6 (0:1).

**გიოტებორგი.** მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ბოლოს ოქროს მედლები შერეულ წყვილთა შორის ფრანგებმა ჟანფილიპ გატიენმა და ვან სიაომინმა მოიპოვეს. ფინალში მათ ჟან-მიშელ სევისა (ბელგია) და გაბრიელა ვირტის (უნგრეთი) ინტერნაციონალური წყვილი დაამარცხეს — 21:13, 25:23.

**მედლინგი.** ავსტრიის ამ ქალაქში მიმდინარე იუნიორ მოფარიკავეთა (ხმალი) მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედალი მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ვადიმ გუტცაიტმა, რომელმაც ფინალში უნგრელი დიერდ ბოროში დაამარცხა. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი საბჭოთა ნაკრები იყო.

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## I ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი III ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის.

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 1:0.** მსაჯი ე. გვარამაძე (რუსთავი). გოლი: ზ. ელოევი („დურუჯი“).

**„სიონი“ (ბოლნისი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:0.** მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი). გოლები: ბ. უგულავა, გაბიძაშვილი („სიონი“).

**„არმაზი“ (მცხეთა) — „შუქურა“ (ქობულეთი) 4:2.** მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). გოლები: ხუცურაული, ბაქრაძე, ყაჩლავაშვილი, სოლოღაშვილი („არმაზი“), ანანიძე, კომახიძე („შუქურა“).

**ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 0:0.** მსაჯი ო. გაგუა (სოხუმი).

უხეში თამაშისათვის გაფრთხილებულია გ. ქველაძე, სასტვენის შემდეგ ბურთის გადაგდებისათვის — ბ. ბრეგვაძე („მაღაროელი“), გვერდით მსაჯთან კამათისათვის — პ. მეტრეველი (ფიზკ. ინსტიტუტი).

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი — „იმერეთი“ (ხონი) 0:2.** მსაჯი ვ. წულუკიძე (ფოთი). გოლები: ნოზაძე, უგრეხელიძე („იმერეთი“).

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „არაგვი“ (დუშეთი) 0:0.** მსაჯი მ. მალაღურაძე (თბილისი).

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისათვის გაფრთხილებულია ზ. ჯაბნიაშვილი („არაგვი“), ხოლო მსაჯის გადაწყვეტილების უარყოფისათვის — თ. სორდია („სამეგრელო“).

**„სულორი“ (ვანი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 1:0.** მსაჯი შ. თომაშვილი (თბილისი). გოლი: ჯ. ვერულაშვილი („სულორი“).

**„სქური“ (წალენჯიხა) — „დინამო“ (გაგრა) 0:2.** მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი). გოლები: მ. მოსიავა, ა. სიჭინავა („დინამო“).

ბურთის განზრახ გადაგდებისათვის გაფრთხილებულია ზ. ხარგელია, უხეში თამაშისათვის — ზ. მინდაძე (ორივე — „დინამო“). უხეში თამაშისათვის გაფრთხილებულნი არიან დ. ჯოლოხავა და დ. ჩალიგავა („სქური“).

**„ალაზანი“ (გურჯაანი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:0.** მსაჯი ვ. ალიევი (თბილისი). გოლი: ვ. კილასონია („ალაზანი“).

მოწინააღმდეგის ხელით დაჭერისათვის გაფრთხილებულია ვ. ხვარეშია („საპოვნელა“).

**„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „კახეთი“ (თელავი) 2:0.** მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლები: წ. კიკნაძე-2 („მარგვეთი“).

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 18 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ | 3 | 3 | 0 | 0 | 9-0 | 9 |
| „ალაზანი“ | 3 | 3 | 0 | 0 | 4-0 | 9 |
| „სიონი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| „იმერეთი“ | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| „მარგვეთი“ | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| „არმაზი“ | 3 | 2 | 0 | 1 | 6-5 | 6 |
| სტუ | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| „სულორი“ | 3 | 2 | 0 | 1 | 3-3 | 6 |
| ფიზკ. ინსტ. | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| „სქური“ | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| „ბახტრიონი“ | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| „საპოვნელა“ | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| „სამეგრელო“ | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 3 |
| „დურუჯი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |
| „არაგვი“ | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| „მაღაროელი“ | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| „კახეთი“ | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| „შუქურა“ | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| „ქართლი“ | 3 | 0 | 0 | 3 | 1-4 | 0 |
| „ჩიხურა“ | 3 | 0 | 0 | 3 | 0-8 | 0 |

## პირველ ადგილზე

**საფრანგეთის** ქალაქ მონტეგიუში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა. მესამე ადგილზე გავიდა ბელგიის ნაკრები, რომელმაც ასეთივე ანგარიშით — 2:1 მოუგო ეგვიპტის გუნდს.

1985 და 1989 წლებში სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები უკვე ფლობდა ამ საერთაშორისო ტურნირის პირველ პრიზს.

ისინი იტალიაში გამოვლენ

# ამერიკის შეერთებული შტატები



**ევროპული** ფეხბურთი ამერიკის შეერთებულ შტატებში არ განეკუთვნება სპორტის პოპულარულ სახეობათა რიცხვს. იგი მეხუთე ადგილზეა ბეისბოლის, ამერიკული ფეხბურთის, კალათბურთისა და ჰოკეის შემდეგ. ამიტომაც აშშ-ის ნაკრების გამოჩენა იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის 24 ფინალისტს შორის ერთგვარი მოულოდნელობაც იყო. თუმცა, ამას იმ ფაქტმაც შეუწყო ხელი, რომ შესარჩევი ტურნირის წინ დისკვალიფიკაცია მისცეს მექსიკის ნაკრებს და ძალზე სუსტად ითამაშეს კანადელებმა. ყველაფერი ეს ერთგვარი სტიმული იყო ამერიკელი ფეხბურთელებისთვის, რომლებმაც გადამწყვეტ მატჩში სტუმრად დაამარცხეს ტრინიდადისა და ტობაგოს გუნდი (1:0) და ფინალის საგზურიც დაისაკუთრეს.

იტალიის მსოფლიო ჩემპიონატი აშშ-ის ნაკრებისთვის პირველი ცდა არ არის მსოფლიო ჩემპიონატებზე. 1930 წელს ურუგვაიში ამერიკელები ნახევარფინალამდე მივიდნენ და იქ არგენტინელებთან დამარცხდნენ, უკანასკნელად კი მათ 1950 წელს ითამაშეს ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატზე. საერთოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთის ფედერაცია ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში 1913 წელს შეიქმნა, ამავე წლიდან არის ფიფა-ს წევრიც.

ბოლო დროს ბევრი რამ კეთდება საიმისოდ, რომ ამერიკელებმა რიგიანად აითვისონ სპორტის ეს, მათში შედარებით ნაკლებად გავრცელებული სახეობა. 70-იან წლებში შეიქმნა ჩრდილოეთ ამერიკის პროფესიული საფეხბურთო ლიგა (ნასლ-ი), დაახლოებით ისეთი, როგორიც ჰოკეისა (ნხლ) და კალათბურთის (ნბა) ლიგებია. ლიგის კლუბებში სათამაშოდ მიიწვიეს ცნობილი ფეხბურთელები პელე, კრუიფი, ბექენბაუერი, ნეესკენსი, ბეტეგა, დეინა... სამწუხაროდ, ვერც მსოფლიო ფეხბურთის ამ გამოჩენილმა ვარსკვლავებმა შეძლეს ევროპული ფეხბურთის პოპულარობის დანერგვა აშშ-ში და 1983 წელს ნასლ-ი დაიშალა. ამ საქმეში უარყოფითი როლი შეასრულა იმ ფაქტმაც, რომ ფიფა-მ უარი თქვა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარების წინადადებაზე.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ნასლ-მა თავისი არსებობის მცირე ხნის მანძილზე მაინც შეძლო იმის გაკეთება, რომ ევროპულ ფეხბურთს უამრავი მიმდევარი გაუჩნდა ბავშვებში. შეიქმნა ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო ჯგუფები, პარადოქსია, მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც ევროპული ფეხბურთი პოპულარობით მხოლოდ მეხუთე ადგილზეა, მსოფლიოში ყველაზე მეტი ბავშვი ვარჯიშობს ორგანიზებულად. დღეისათვის აშშ-ში აღრიცხულია 3 მილიონ 200 ათასი ნორჩი ფეხბურთელი. სწორედ ეს ციფრი განაპირობებს იმას, რომ ამერიკის გუნდები სისტემატურად მონაწილეობენ მოზარდთა და იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატებში, 1989 წელს კი საუდის არაბეთში გამართულ იუნიორთა ჩემპიონატში მათ მეოთხე ადგილი დაიკავეს.

და აი, 40-წლიანი შესვენების შემდეგ ამერიკელები კვლავ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა შორის არიან. გუნდის სავარაუდო შემადგენლობა ასეთია: **მეკარეები** — ტონი მიოლა (დაიბადა 1969 წლის 21 თებერვალს), დევიდ ვანოული (6.02.63), კეისი კელერი (29.11.69); **მცველები** — პოლ კრამპი (4.03.63), სტივ ტრიტჩაჰი (24.04.65), დეზმონდ არმსტრონგი (2.11.64), ბრაიან ბლისი (28.09.65), მარჩელო ბალბოა (8.08.67), ჯიმი ბენქსი (2.09.64), მაიკ უინდიშმანი (6.12.65), ჯონ დოილი (16.03.66); **ნახევარმცველები** — პოლ კალიგიური (9.03.64), უგო პერესი (8.11.63), ტაბარე რამოსი (21.09.66), ჯონ სტოლმაიერი (25.10.62), ჯონ ჰარქსი (8.03.67), ერიკ ეიჰმანი (7.05.65); **თავდამსხმელები** — ბრენტ გულეტი (19.05.64), ფრენკ კლოპასი (1.09.66), ბრიუს მიურეი (25.01.66), პიტერ ვერმესი (21.11.66).

სეულის ოლიმპიადაზე არცთუ უფერული გამოსვლის შემდეგ (2 ფრე ს. კორეასთან და არგენტინელებთან, ერთი დამარცხება სსრ კავშირთან), გუნდი დატოვა უფროსმა მწვრთნელმა ლოტარ ოზიანდერმა. 1989 წლის იანვარში მისი ადგილი დაიკავა ბობ განსლერმა, რომელიც მანამდე იუნიორთა ნაკრებს ხელმძღვანელობდა.

ზემოთ დასახელებულ ფეხბურთელთა უმეტესობას ხელი აქვთ მოწერილი ეროვნულ ფედერაციასთან დადებულ კონტრაქტზე და ბ. განსლერის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან. ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდი საქმეა, რადგანაც ფეხბურთელები მეტწილად ერთად იმყოფებიან ვარჯიშებზე, მონაწილეობენ ამხანაგურ მატჩებსა და სხვადასხვა ტურნირებში.

ბ. განსლერის აზრით, ნაკრების მოთამაშეთა არც ისე მაღალ ტექნიკას ანაზღაურებს — მხოლოდ კოლექტიური თამაში და წვრთნის დროსაც სწორედ ამაზე კეთდება აქცენტი.

სპეციალისტების აზრით, აშშ-ის ნაკრებს საკმაოდ კარგი დაცვა ჰყავს, რაზეც მეტყველებს ის, რომ შესარჩევ ტურნირში გუნდმა მხოლოდ სამი გოლი გაუშვა საკუთარ კარში, მაგრამ ამავე ტურნირის შედეგებიდან გამომდინარე მიაჩნიათ, რომ შედარებით სუსტია თავდასხმის ხაზი, რომელმაც მხოლოდ 6 ბურთის გატანა შეძლო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის ნაკრების ფეხბურთელებს აქვთ ევროპულ კლუბებში თამაშის გამოცდილება. მაგალითად, ბრიუს მიურეი შვეიცარიის „ლოზანაში“ გამოდიოდა, პიტერ ვერმესი — უნგრეთის „რაბა ეტო“-ში, უგო პერესი — საფრანგეთის „რედ სტარ“-ში, პოლ კალიგიური — გფრ-ის „მოპენ“-ში, ფრენკ კლოპასი — საბერძნეთის აეკ-ში.

— იტალიაში ტურისტებად გამგზავრებას არ ვაპირებთ, — განაცხადა ბობ განსლერმა, — ჩვენი მიზანია მეორე წრეში გასვლა. გარდა ამისა, იტალიაში ჩვენი მარცხი ამერიკის შეერთებულ შტატებში ფეხბურთისთვის სიკვდილის განაჩენის ტოლფასი იქნება.

აქვე შეგახსენებთ, თუ როგორ განვლო შესარჩევი ტურნირი ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა: კოსტა-რიკა — აშშ 1:0, აშშ — კოსტა-რიკა 1:0, აშშ — ტრინიდადი და ტობაგო 1:1, აშშ — გვატემალა 2:1, სალვადორი — აშშ 0:1, გვატემალა — აშშ 0:0, აშშ — სალვადორი 0:0, ტრინიდადი და ტობაგო — აშშ 0:1.

**გიორგი ქორქია.**

# მწვრთნელი ფეხზე დგომას ამჯობინებს

**გფრ-ის ნაკრების მწვრთნელთან, წარსულში ცნობილ ფეხბურთელ ფრანც ბექენბაუერთან ეს ინტერვიუ, რომელსაც ოდნავი შემოკლებით გთავაზობთ, ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა გაზეთ „იუნგე ველტში“ (გდრ).**

● **ეს-ესაა დაბრუნდით ციურიხიდან, სადაც გაიმართა იტალიის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე 24 გუნდის მწვრთნელთა შეხვედრა. რა სიახლეებია?**

— პირველ ყოვლისა განვიხილეთ ორგანიზაციული საკითხები. სიახლეთა შორის უპირველეს ყოვლისა დავასახელებ შემდეგს: უწინ სათადარიგო სკამზე განაცხადში მყოფი ფეხბურთელები ისხდნენ მხოლოდ, დანარჩენები კი — ტრიბუნაზე. ამჯერად ეს ასე აღარ იქნება. იტალიაში მთელი ნაკრები სათადარიგოთა სკამზე მოთავსდება.

● **თქვენ ფეხზე დგომას ამჯობინებთ მატჩების დროს... შარვლის დაჭმუჭვნას ხომ არ ერიდებით?**

— მას შემდეგ, რაც ნაკრებს ჩავუდექი სათავეში, დავასკვენი, რომ ფეხბურთელების გვერდით სკამზე ჯდომა მაკარგვინებდა მათთან დისტანციის შეგრძნებას.

● **რა გრძნობითა და განზრახვით მიემგზავრებით იტალიაში?**

— უპირველეს ყოვლისა, მოხარული ვარ, რომ ჩვენი გუნდი იტალიაშია. ეს ჩემთვის როგორც მწვრთნელისათვის გასეირნება არ იქნება. გვსურს საუკეთესო თამაში ვაჩვენოთ და... ჩემპიონობაზეც არ ვიტყვით უარს.

● **ჩემპიონატის შემდეგ თქვენს ადგილს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ბერტი ფოგსტი დაიკავებს...**

— უკანასკნელ წლებში შევძელი ჩამოგვეყალიბებინა მებრძოლი, ტექნიკურად ძლიერი გუნდი. იუპ დერვალის „უძრაობის“ პერიოდმა გაიარა. ახლა კი სხვა საქმეებს მინდა მივხედო.

● **იცით თუ არა, რა უნდა გააკეთოთ?**

— მინდა გამოვიყენო ჩემი არხები ქვეყნის ინდუსტრიულ წრეებთან და გფრ-ის ფეხბურთის კავშირს გავუწიო დახმარება მარკეტინგისა და რეკლამების სფეროში. იმედი მაქვს, აქაც მივაღწევ წარმატებას.

**მასალა მოამზადა**
**მალხაზ რადიანმა.**

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

### იტალია

**31-ე ტური.** „ატალანტა“ — „ნაპოლი“ 0:0 (პროტესტის შედეგად — 0:2. საბოლოო პასუხი 21 აპრილს იქნება ცნობილი), „ინტერი“ — „ჩეზენა“ 1:1, „იუვენტუსი“ — „კრემონეზე“ 4:0, „რომი“ — „ფიორენტინა“ 0:0, „ვერონა“ — „ჯენოვა“ 1:0, „სამპდორია“ — „ლეჩე“ 1:0, „ბოლონია“ — „მილანი“ 0:0, „ასკოლი“ — „უდინეზე“ 1:0, „ბარი“ — „ლაციო“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მილანი“ | 31 | 50-25 | 45 |
| „ნაპოლი“ | 31 | 47-29 | 44 |
| „ინტერი“ | 31 | 50-28 | 41 |

### იუგოსლავია

**27-ე ტური.** „ჟელეზნიჩარი“ — „ველეჟი“ 2:0, „ვარდარი“ — „ოსიეკი“ 0:1, „ვოივოდინა“ — „ჰაიდუკი“ 2:3, „სლობოდა“ — „პარტიზანი“ 3:1, „სპარტაკი“ — „რადნიჩკი“ 1:1 (5:4), „დინამო“ — „ბორაცი“ 3:1, „ცრვენა ზვეზდა“ — „რიეკა“ 1:0, „ოლიმპია“ — „ბუდუჩნოსტი“ 3:1, „რადი“ — „სარაევო“ 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დინამო“ | 27 | 51-15 | 39 |
| „ცრვენა ზვეზდა“ | 27 | 63-28 | 38 |
| „ჰაიდუკი“ | 27 | 40-30 | 28 |

### ავსტრია

**30-ე ტური.** „რაპიდი“ — „ადმირა“ 1:1, „შტურმი“ — „ტიროლი“ 2:0, „სენტ პოლტენი“ — „ზალცბურგი“ 1:1, „აუსტრია“ — „ვიენა“ 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ტიროლი“ | 30 | 56-28 | 28 |
| „აუსტრია“ | 30 | 69-37 | 27 |
| „რაპიდი“ | 30 | 59-38 | 24 |

### საფრანგეთი

**32-ე ტური.** „სენტ ეტიენი“ — „ნიცა“ 0:0, „კაენი“ — „ტულუზა“ 0:1, „ბრესტი“ — „ნანტი“ 3:2, „სოშო“ — „მეცი“ 0:0, „ლილი“ — „რესინგი“ 2:1, „მონაკო“ — „ლიონი“ 1:0, „კანი“ — „მარსელი“ 2:2, „ბორდო“ — „ოსერი“ 0:1, „სენ ჟერმენი“ — „მულუზი“ 1:0, „ტულონი“ — „მონპელიე“ 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბორდო“ | 32 | 45-19 | 45 |
| „მარსელი“ | 31 | 66-30 | 44 |
| „მონაკო“ | 32 | 30-22 | 38 |

### ესპანეთი

**33-ე ტური.** „რეალი“ — „სელტა“ 3:0, „ტენერიფე“ — „ლოგრონიესი“ 3:1, „სან სებასტიანი“ — „ატლეტიკო“ 0:0, „ვალეკანო“ — „ხიხონი“ 1:2, „ბარსელონა“ — „ვალენსია“ 2:1, „მაიორკა“ — „კადისი“ 5:1, „კასტელონა“ — „მალაგა“ 1:1, „ოვიედო“ — „სევილია“ 0:3, „პამპლონა“ — „ბილბაო“ 1:1, „ვალიადოლიდი“ — „სარაგოსა“ 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ | 33 | 94-30 | 55 |
| „ატლეტიკო“ | 33 | 46-27 | 45 |
| „ბარსელონა“ | 33 | 73-34 | 44 |

### პორტუგალია

**27-ე ტური.** „შავიში“ — „სეტუბალი“ 2:0, „ბელენენსეში“ — „გიმარაეში“ 4:0, „ამადორა“ — „ბეირა მარი“ 3:1, „მადეირა“ — „ნასიონალი“ 3:2, „ტირსენსე“ — „პორტო“ 1:2, „ფიერენსე“ — „პორტიმონენსე“ 1:1, „ბრაგა“ — „სპორტინგი“ 1:1, „მარიტიმო“ — ბენფიკა“ 1:1, „ბოავიშტა“ — „პენაფიელი“ 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „პორტო“ | 27 | 60-12 | 48 |
| „ბენფიკა“ | 27 | 65-18 | 44 |
| „გიმარაეში“ | 27 | 36-20 | 37 |

### ჰოლანდია

**29-ე ტური.** „ვოლენდამი“ — „ეინდჰოვენი“ 0:0, „ტვენტე“ — „უტრეხტი“ 3:1, „სპარტა“ — „სიტარდი“ 4:1, „ტილბურგი“ — „არნჰემი“ 1:1, „გრონინგენი“ — „აიაქსი“ 0:1 (გამოტოვებული მატჩი), „დენ ჰააგი“ — „ფეიენოორდი“ 2:0, „როდა“ — „დენ ბოში“ 0:3, „ნეიმიგენი“ — „გრონინგენი“ 1:1, „აიაქსი“ — „ჰარლემი“ 5:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი“ | 29 | 56-19 | 42 |
| „ეინდჰოვენი“ | 29 | 85-31 | 41 |
| „როდა“ | 29 | 46-33 | 36 |

### ბელგია

**29-ე ტური.** „გენტი“ — „ანდერლეხტი“ 1:2, „მეხელენი“ — „სერკლი“ 3:0, „სტანდარდი“ — „ბევერსკოტი“ 1:1, „შარლერუა“ — „ლიეჟი“ 2:0, „კურტრე“ — „სენტ ტრუდენი“ 2:1, „ბევერენი“ — „ვარეგემი“ 1:0, „ლიერსი“ — „ანტვერპენი“ 2:1, „ბრიუგე“ — „რესინგი“ 4:0, „ეკერენი“ — „ლოკერენი“ 2:2.



| | | | |
|---|---|---|---|
| „ბრიუგე“ | 29 | 65-19 | 48 |
| „ანდერლეხტი“ | 29 | 66-14 | 46 |
| „მეხელენი“ | 29 | 59-9 | 45 |

### დანია

**32-ე ტური.** „იკასტი“ — „ორჰუსი“ 0:1, „ფრემი“ — „ბრონდბიუ“ 1:0, „ნესტვედი“ — „ოდენსე“ 2:0, „ოლბორგი“ — „ლუნგბიუ“ 0:1, „ბკ კოპენჰაგენი“ — „ჰერფოლგე“ 0:0, „ვიბორგი“ — „1903 კოპენჰაგენი“ 1:1, „სილკებორგი“ — „ვეილე“ 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ვეილე“ | 2 | 4-2 | 3 |
| „ნესტვედი“ | 2 | 2-0 | 3 |
| „სილკებორგი“ | 2 | 4-3 | 3 |

### ინგლისი

**33-ე ტური.** „ლივერპული“ — „უიმბლდონი“ 2:1, „საუთჰემპტონი“ — „ქუინს პარკი“ 0:2. „ნორვიჩი“ — „კრისტალ პალასი“ 2:0, „ჩელსი“ — „ლუთონი“ 1:0, „ქოვენთრი“ — „დერბი“ 1:0, „ევერტონი“ — „ქუინს პარკი“ 1:0, „მილუოლი“ — „მანჩესტერ სიტი“ 1:1, „ნოტინგემი“ — „ტოტენჰემი“ 1:3, „შეფილდი“ — „საუთჰემპტონი“ 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლივერპული“ | 31 | 58-31 | 62 |
| „ასტონ ვილა“ | 32 | 48-30 | 59 |
| „ევერტონი“ | 33 | 49-37 | 54 |

### შოტლანდია

**32-ე ტური.** „სელტიკი“ — „სენტ მირენი“ 0:3, „დანდი იუნაიტედი“ „ჰიბერნიანი“ 1:0, „მოზერეული“ — „დანფერმლაინი“ 1:3,

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეინჯერსი“ | 31 | 42-17 | 48 |
| „აბერდინი“ | 31 | 50-31 | 37 |
| „ჰართსი“ | 31 | 50-33 | 37 |

### რუმინეთი

**22-ე ტური.** „მორენი“ — „პეტროსანი“ 1:0, „სიბიუ“ — „სტიაუა“ 0:1, „პიტეშტი“ — „პლოეშტი“ 3:3, „დინამო“ — „ტიმოშოარა“ 3:0, „სპორტული“ — „ბრაშოვი“ 2:0, „კონსტანცა“ — „უნივერსიტატია“ 1:1, „კლუჟი“ — „ჰუნედოარა“ 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დინამო“ | 22 | 56-12 | 38 |
| „სტიაუა“ | 22 | 58-15 | 38 |
| „უნივერსიტატია“ | 22 | 36-13 | 31 |

### პოლონეთი

**22-ე ტური.** „ვისლა“ — გკს 0:0, „ლეხი“ — „ბიალისტოკი“ 3:0, „სტალი“ — „სლასკი“ 1:1, „გურნიკი“ — „კს ლოძი“ 0:1, „ვიძევი“ — „ბიდგოშჩი“ 0:0, „მოტორი“ — „სოსნოვეცი“ 1:0, „რუხი“ — „ოლიმპია“ 2:1, „ლეგია“ — „ზაგლემბე“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| გკს | 22 | 23-11 | 30 |
| „ზაგლემბე“ | 22 | 28-17 | 30 |
| „ლეხი“ | 22 | 31-21 | 29 |

(საქ. ინფ.)

საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში

# დანაშაული და სასჯელი



გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის კიდევ რამდენიმე მატჩი.

**7 აპრილი. სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) — „აზოტი" (რუსთავი). 132:78 (68:43). მსაჯები ხ. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ზ. ზამთარაძე.**

**უნივერსიტეტი:** ტალაბაძე (27), გ. ქართველიშვილი (23), ახვლედიანი (22), ტურაშვილი (14), კოხრეიძე (13), ქ. ქართველიშვილი (12), ხელაშვილი (11), ბერუაშვილი (10).

**„აზოტი":** გოგობერიშვილი (15), აბზიანიძე (15), ხაიაური (14), ლაბუჩიძე (10), ქობელაძე (6), ბერუაშვილი (5), ტეხოვი (4), გოდერძიშვილი (3), მუმლაძე (2), ზაქარაშვილი (2) მიჩილაშვილი (2).

**8 აპრილი. სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) — „აზოტი" (რუსთავი) 99:82 (58:36). მსაჯები: ხ. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ზ. ზამთარაძე.**

**უნივერსიტეტი:** ახვლედიანი (28) ქ. ქართველიშვილი (16), ტურაშვილი (16), გ. ქართველიშვილლი (14), ხელაშვილი (7), ტალაბაძე (6) კოხრეიძე (6) ბერუაშვილი (6).

**„აზოტი":** მიჩილაშვილი (25), ხაიაური (19), აბზიანიძე (10), ბერუაშვილი (10), ლაბუჩიძე (9), ქობელაძე (4), გოგობერიშვილი (3), გოდერძიშვილი (2).

**7 აპრილი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „შევარდენი" (თბილისი) 90:85 (55:42). მსაჯები: რ. გელოვანი და ხ. მაღალაშვილი (ორივე — საკავშირო კატეგორია).**

**ტექნიკური უნივერსიტეტი:** გიორგობიანი (31), გეგეშიძე (18), ვაშაკიძე (14), ცხვედიანი (10), კოტრიკაძე (7), ცაგარეიშვილი (6), სხიერელი (2), ორმოცაძე (2).

**„შევარდენი":** ძიძავა (45), კორძაია (11), ჩიხლაძე (9), გაჩეჩილაძე (6), წულაია (4), ცაგარეიშვილი (4), კობახიძე (4), რაზმაძე (2).

**8 აპრილი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „შევარდენი" (თბილისი) 84:78 (46:45). მსაჯები რ. გელოვანი და ხ. მაღალაშვილი (ორივე — საკავშირო კატეგორია).**

**ტექნიკური უნივერსიტეტი:** ვაშაკიძე (20), გიორგობიანი (17), ცხვედიანი (16), გეგეშიძე (12), სხიერელი (8), კოტრიკაძე (7), ცაგარეიშვილი (4).

**„შევარდენი":** ძიძავა (29), კორძაია (9), რაზმაძე (8), ჩიხლაძე (7), წულაია (7), კობახიძე (6), აბულაშვილი (4), დონაძე (3), გაჩეჩილაძე (3), ცაგარეიშვილი (2).

„შევარდნის" მოთამაშე ძიძავა მსაჯის შეურაცხყოფისათვის გაძევებულ იქნა მოედნიდან.

**7 აპრილი. „დინამო" (თბილისი) — ქუთაისი 80:93 (38:39). მსაჯები: ა. როსტომაშვილი და გ. ოსიაშვილი (ორივე — საკავშირო კატეგორია).**

**„დინამო":** ბიჰიაშვილი (21), კირვალიძე (15), მახარაძე (15), სარალიძე (9), ღუდუშაური (9), ლომთაძე (7), ჩხაიძე (2), შუხოშვილი (2).

**ქუთაისი:** გოქსაძე (24), ნაცვლიშვილი (20), გუბელაძე (19), ბუაძე (14), ხაბულიანი (8), აფრიდონიძე (4), გუმბერიძე (4).

**8 აპრილი. „დინამო" (თბილისი) — ქუთაისი 92:86 (41:39). მსაჯები: გ. ოსიაშვილი და ა. როსტომაშვილი (ორივე — საკავშირო კატეგორია).**

**„დინამო":** ლომთაძე (18), მახარაძე (14), ბიჰიაშვილი (14), შუხოშვილი (11), ჩხაიძე (11), გურგენიძე (10), სარალიძე (6), ღუდუშაური (4), კირვალიძე (4).

**ქუთაისი:** გოქსაძე (27), გუბელაძე (19), აფრიდონიძე (16), ნაცვლიშვილი (13). ხაბულიანი (8), გუმბერიძე (3).

ქუთაისის მოთამაშე გუმბერიძე მსაჯის შეურაცხყოფისათვის გაძევებულ იქნა მოედნიდან.

პარასკევს საქართველოს სპორტსახკომში შედგა კალათბურთელთა აქტივის კრება, რომელმაც სხვა საჭირბოროტო საკითხებთან ერთად განიხილა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში მოთამაშეთა მიერ დისციპლინის დარღვევის ცალკეული შემთხვევები. საუბარი უმთარესად იყო „შევარდენ"-ტექნიკური უნივერსიტეტისა და „დინამო"-ქუთაისის მატჩებში მომხდარ ინციდენტებზე.

დისციპლინის დამრღვევებს — ქუთაისელ გუმბერიძეს, „შევარდნის" გუნდის წევრებს ძიძავასა და გაჩეჩილაძეს (ამ უკანასკნელმა ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელებთან შეხვედრის დამთავრების შემდეგ შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს) აქტივმა სასჯელად დისკვალიფიკაცია გამოუტანა (ჩემპიონატის ბოლომდე). დაისაჯა, ცხადია „შევარდენის" გუნდიც: მას ჩემპიონატის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. უდისციპლინობის განმეორების შემთხვევაში გუნდი გათამაშებიდან მოიხსნება.

საქართველოს ჩემპიონატის დებულებაში გარკვევით არის ჩაწერილი, რომ თამაშიდან გაძევებული კალათბურთელი ავტომატურად ტოვებს ოთხ მომდევნო შეხვედრას. შესამჩნევად გამკაცრდა სასჯელი მსაჯის შეურაცხყოფისათვისაც. ასეთი გამოხდომისთვის წესრიგის დამრღვევს ავტომატურად მიესჯება დისკვალიფიკაცია ჩემპიონატის დამთავრებამდე.

ახლა სატურნირო ცხრილებსაც გადავხედოთ:

I ქვეჯგუფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფიზკ. ინსტ. (თბ.) | 6 | 6 | 0 | 12 |
| „სინათლე" (თბ.) | 8 | 4 | 4 | 12 |
| სსმი (სოხუმი) | 6 | 3 | 3 | 9 |
| „ტბეთი" (ბათუმი) | 6 | 2 | 4 | 8 |
| ჭიათურა | 6 | 0 | 6 | 6 |
| სსი (თბილისი) | 2 | 2 | 0 | 4 |
| „მართვე" (თბილისი) | 2 | 1 | 1 | 3 |

II ქვეჯგუფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თსუ (თბილისი) | 7 | 6 | 1 | 13 |
| „შევარდენი" (თბ.) | 8 | 5 | 3 | 13 |
| სტუ (თბილისი) | 6 | 6 | 0 | 12 |
| ქუთაისი | 8 | 3 | 5 | 11 |
| „დინამო" (თბილისი) | 8 | 1 | 7 | 9 |
| „აზოტი" (რუსთავი) | 7 | 1 | 6 | 8 |

# სარაგბო „ბასტილიის" აღებაც შეიძლება...

(დასასრული)

ძემ ლელო გაიტანა, ტყაბლაძემ კი გარდასახა — 6:4.

წარმატებამ მასპინძლები გაათამამა და მათაც „მოურიდებლად" დაიწყეს შეტევები. მართალია, სტუმრები მასპინძლებს აშკარად სჯობდნენ აუტში, მაგრამ ჩვენებმა შერკინებაში, მოლსა და რაქში იმარჯვეს: ქართველი მორკინალები თითქმის ყოველთვის აწრებდნენ მეტოქეს ორთაბრძოლებში და უპირატესობას უქმნიდნენ სამმეოთხედელებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი გარე ნახევარმცველის ტაქტიკურად უმართებულო თამაშის გამო, ეს უპირატესობა გამოუყენებელი რჩებოდა, რადგანაც უკანა ხაზი ფაქტიურად მოწყვეტილი იყო შერკინებას.

ტაიმის მიწურულს სტუმართა მცველმა ფოტუმ ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი დააწინაურა პარიზელები — 6:7.

შესვენების შემდეგ სურათი არ შეცვლილა. თამაში ნელ ტემპში მიმდინარეობდა. დამცველი მხარე უპირატესად ფეხით იგერიებდა შეტევებს, რის გამოც მრავლად ინიშნებოდა აუტები, რომლებშიც მასპინძლებმა ვერაფერი გააწყვეს სტუმრების ტანმაღალ მხტომელებთან. ამასობაში ტყაბლაძემ ზედიზედ გაცუდებული სამი საჯარიმოს შემდეგ, როგორც იქნა, მიაღწია მიზანს და წინ გაიყვანა ქართველები — 9:7.

უპირატესობა მინიმალური იყო. ამას ფრანგებიც გრძნობდნენ და იერიშზე გადავიდნენ. ტაიმის შუაწელში დაწინაურება შეეძლოთ, როდესაც მასპინძელთა ლელოსთან, ხუთ მეტრში, ზედიზედ ორჯერ დაინიშნა შერკინება, შემდეგ კი — აუტი. სტუმრები ბევრს ეცადნენ, მაგრამ მეორე ნაკრები დაცვაში ზუსტად მოქმედებდა და მეტოქეს ლელოს გატანის საშუალება არ მისცა.

ამ მატჩში ქართველმა მორაგბეებმა წარმატებით გადაჭრეს „ფრანგული პრობლემა". მათ მეტოქეს ყოველნაირად შეუზღუდეს ხელით თამაშის საშუალება, აგრეთვე თამაშიდან „გამოთიშეს" ფრანგთა უკანა ხაზის ლიდერი ფიარი, რომლის გარღვევებმა წინა ორ თამაშში ბევრი თავსატეხი გაუჩინა მეტოქეებს. მართალია, ერთი-ორჯერ ფიარი და შუამარბი გოტიე ეცადნენ მარტოდ გაერღვიათ დაცვის ხაზი, მაგრამ ქართველი სამმეოთხედელებისა და, განსაკუთრებით, მესამე ხაზის სიფხიზლის გამო, ამ მოთამაშეებს ბევრი ვერაფრისათვის მიუღწევიათ.

მატჩის მიწურულს ტყაბლაძემ ერთი საჯარიმოც შეაგდო — 12:7. ფრანგებს კიდევ შეეძლოთ თამაშის „გადარჩენა", მაგრამ უკანასკნელ წუთებზე გარემარბ გურდონის წინააღმდეგ უხეში თამაშის გამო ჩვენს ლელოსთან დანიშნული საჯარიმო, ყველასათვის მოულოდნელად, უხეიროდ გაითამაშეს და ბოლო შანსიც დაჰკარგეს.

**საქართველოს გუნდის შემადგენლობა: მ. ხარშილაძე; გეგეჭკორი (რეხვიაშვილი), ჩიქვინიძე, ბესელია, ღვინიაშვილი; ტყაბლაძე, ჯანელიძე; შუბითიძე (ზ. ლიპარტელიანი), ბერიაშვილი, ბაბუნაშვილი (გაგნიძე); კაპანაძე, კაშია, მექვაბიშვილი, ნარიმანიძე; ღუდუშაური.**

**მერაბ რატიშვილი.**

* * *

**დღეს, ვაკის სტადიონზე, ეროვნული ჩემპიონატის პროგრამით ითამაშებენ „მიმინო" და სტუ. დასაწყისი 17 საათზე. 20 საათზე სარაგბო კლუბ „შევარდენში" დაიწყება ჩემპიონატის მონაწილეთა წარმომადგენლებისა და მსაჯების თათბირი. თბილისელთა დასწრება სავალდებულოა.**

**იმის გამო, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები ზიმბაბვედან დათქმულზე სამი დღით გვიან ჩამოვა, ნაწილობრივ იცვლება ეროვნული ჩემპიონატის მესამე და მეოთხე ტურების განრიგი: 27.04 „იმერეთი" — „აია" და თსუ — „ელმავალი"; 30.04 „იმერეთი" — სტუ და თსუ — ზოოვეტი; 21.06 „ასოციაცია" — „ელმავალი"; 25.06 „აია" — „შევარდენი".**

## კალეიდოსკოპი

● **გერმანიის** დემოკრატიული და ფედერაციული რესპუბლიკების ძიუდოს კავშირებმა გადაწყვიტეს მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ღია ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება. ტურნირი გაიმართება ბერლინში.

● **ჩინეთში** მოეწყობა ფრენბურთელ ქალთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება — ოთხთა ტურნირი. მისი სამი მონაწილის ვინაობა ცნობილია. ესენია კუბის, იაპონიის და ჩინეთის გუნდები. მეოთხე მონაწილეს დაასახელებს ჩინეთის ფრენბურთის ფედერაცია ცოტა მოგვიანებით.

● **დასავლეთგერმანულმა** საავტომობილო კონცერნმა „დაიმლერ-ბენცმა" სპორტის სპონსორობა იკისრა. ამიერიდან იგი შეფობას გაუწევს ოლიმპიურ ჩემპიონს აფროსნობაში იოჰენ შიუმანს (გდრ).

**ზედიზედ** სამი წელია ვერავინ უწევს რეალურ წინააღმდეგობას იტალიურ „ლანჩა მარტინის". ამ ფირმის პილოტები ბრწყინვალედ ასპარეზობენ. ფინელმა იუჰა კანკუნენმა 1987 წელს მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, 1988-1989 წლებში კი საუკეთესო იყო იტალიელი მასიმო ბიასონი. მაშინ საუკეთესო შტურმანებად აღიარეს ფინელი იუჰა პიირონენი და იტალიელი ტიციანო სივიერო. მალე ფინელთა დუეტი „ტოიოტამ" მიიწვია და მათ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავეს. წელს კანკუნენ-პიირონენი კვლავ „ლანჩას" ღირსებას იცავს.

მსოფლიო პირველობის გათამაშების წლევანდელ კალენდარში ცვლილება მოხდა. ცამეტის ნაცვლად ჩატარდება 12 ეტაპი. შვეციის ტრასა რბოლის ჩატარებისთვის უვარგისი აღმოჩნდა. ახლა ცხრილი ასე გამოიყურება:

1. მონტე კარლო (19-26 იანვარი)
2. პორტუგალია (6-11 მარტი)
3. კენია — „საფარი რალი" (12-16 აპრილი)
4. კორსიკა (4-10 მაისი)
5. „აკროპოლისი" (2-7 ივნისი)
6. ახალი ზელანდია (29 ივნისი—4 ივლისი)
7. არგენტინა (23-29 ივლისი)
8. ფინეთი — „1000 ტბა" (22-27 აგვისტო)
9. ავსტრალია (13-17 სექტემბერი)
10. იტალია — „სან რემო" (7-13 ოქტომბერი)
11. კოტ დივუარი (27 ოქტომბერი—2 ნოემბერი)

მსოფლიო ჩემპიონატი ავტორალიში

# ვინ დაამარცხებს „ლანჩას?"

12. ინგლისი — „როიალ აუტო ქლაბ რალი" (25-29 ნოემბერი)

მსოფლიო პირველობა ავტორალიში, ტრადიციულად, მონტე კარლოს რალით გაიხსნა. ამ ქვეყნის „გრან პრი" 58-ედ გათამაშდა. დიდიე ორიოლისა და ბერნარ ოჩელის ეკიპაჟმა ერთკვირიან, ურთულეს რბოლებში არავის დაუთმო პირველობა. ფრანგულმა დუეტმა 52 წამით გაუსწრო ესპანელების კარლოს საინცისა და ლუის მოიას ეკიპაჟს.

მონტე კარლოში „ლანჩამ" მეთორმეტე გამარჯვება მოიპოვა.

რბოლების საბოლოო შედეგი ასეთია:

1. დიდე ორიოლი—ბერნარ ოჩელი (საფრანგეთი, „ლანჩა მარტინი") — 5 საათი, 56 წუთი და 52 წამი; 2. კ. საინელი — ლ. მოია (ესპანეთი „ტოიოტა ჩელიკა") — ჩამორჩა 52 წამით; 3. მ. ბიასიონი — ტ. სივიერო (იტალია, „ლანჩა მარტინი")— 3 წუთით და 59 წამით.

პორტუგალიაში საუკეთესი იყო ბიასიონ—სივიეროს ეკიპაჟი. მათ არ ჩამორჩნენ „ლანჩა მარტინის" სხვა პილოტებიც და, საბოლოოდ, არც ერთ სხვა გუნდს დაწინაურების საშუალება არ მისცეს. ყველა საპრიზო ადგილი იტალიურმა გუნდმა დაისაკუთრა. სპეციალისტების აზრით ეს იყო „ლანჩა მარტინის" მიერ მოპოვებული უბრწყინვალესი გამარჯვება. აი, ისინიც:

1. მასიმო ბიასიონი — ტიციანო სივიერო (იტალია) — 6 საათი 17 წუთი და 57 წამი; 2. დ. ორიოლი—ბ. ოჩელი (საფრანგეთი); 3. ი. კანკუნენი — ი. პიირონენი (ფინეთი).

ბიასიონ-სივიეროს ეკიპაჟმა პორტუგალიაში ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა.

ორი ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში 35 ქულით ლიდერობს დიდიე ორიოლი. მეორეა მასიმო ბიასიონი — 32, მესამე — დარიო ჩერატო (20 ქულა), მეოთხე — კარლოს საინტი (15), მეხუთე — იუჰა კანკუნენი (12 ქულა).

გუნდურ პირველობაში 40 ქულით ერთპიროვნული ლიდერია „ლანჩა მარტინი".

მესამე ეტაპის შედეგებს, რომელიც 12-16 აპრილს გაიმართა კენიაში და რომელიც „საფარი რალის" სახელითაა ცნობილი, მოგვიანებით მოგაწვდით.

**დავით ჩუბინიძე.**

## „სპორტპროგნოზი"

**მე-15 ტირაჟის შედეგები**

**(14-15 აპრილი)**

1—2, 2—X, 3—1, 4—1, 5—X, 6—X, 7—1, 8—X, 9—X, 10—2, 11—X, 12—2, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს. თამაშის გადატანასთან დაკავშირებით მე-8 წყვილის („გენუა" — „ინტერი") შედეგი განსაზღვრულია წილისყრით.

# ლიდერთა შორის

**ჩოგბურთელ** ქალთა საერთაშორისო ფედერაციის (ვიტა) მონაცემებით წლეულს გამართულ ტურნირებში ნაჩვენები შედეგებით ნატალია ზვერევა (948 ქულით) მესამე ადგილზეა მარტინა ნავრატილოვასა (1460) და შტეფი გრაფის (1420) შემდეგ. მომდევნო ადგილებზე კი არიან: [illegible]ელეში (იუგოსლავია), ზინა ჰარისონი (აშშ), მანუელა მალეევა (შვეიცარია), ჰელენა სუკოვა (ჩეხოსლოვაკია), მერი ჯო ფერნანდესი (აშშ), არანტა სანჩესი (ესპანეთი) და კატერინა მალეევა (ბულგარეთი).

ზვერევა ლიდერთა შორის იმყოფება სეზონში მიღებული საპრიზო თანხითაც. მის ანგარიშზეა 170 720 ამერიკული დოლარი. მასზე წინ არიან ნავრატილოვა (398500), გრაფი (318621) და სელეში (186900). აი რეიტინგში კი ზვერევას მხოლოდ მეცამეტე ადგილი უკავია. აქ პირველ ადგილზეა გრაფი, მეორეზე—ნავრატილოვა, მერე საბატინი (არგენტინა), სელეში და ა. შ.

ჩოგბურთელ ვაჟთა რეიტინგი კი ასე გამოიყურება: 1. ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) 320 ქულა, 2. სტეფან ედბერგი (შვეცია) — 2891, 3. ბორის ბეკერი (გფრ) — 2776.

რედაქტორის მოადგილე
**უ. ჭიჭინაძე.**

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779